შპს „ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელი“-ს (ს/კ 404391537) პარტნიორებს

ამავე საზოგადოების 85% წილის მფლობელის

პარტნიორის შპს „ქართულ-ევროპული სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (ს/კ 237058811)

განცხადება

მე, შპს „ქართულ-ევროპული სასწავლო უნივერსიტეტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა გაბიცინაშვილის მიერ, შპს „ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელი“-ს 85% წილის მფლობელი პარტნიორი, ვაპირებ ჩემი კუთვნილი 85% წილის 110 000 (ას ათი ათასი) აშშ დოლარად გავასხვისო (გავყიდო) არაპარტნიორზე. მსურველ პარტნიორებს, შპს „ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელი“-ს წესდების მე-5 მუხლის და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46[1] მუხლის თანახმად, უფლება აქვთ გამოიყენონ უპირატესი შესყიდვის უფლება და მითითებული პირობებით 2019 წლის 26 მაისამდე შეიძინონ აღნიშნული წილი, რის შესახებაც მაცნობეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: xatuna_gabi@yahoo.com (+995 599 159691).

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ ვადაში არც ერთი პარტნიორი არ განაცხადებს თანხმობას ჩემი კუთვნილი წილის შეძენაზე და არ გამოიყენებს წილთა უპირატესი შესყიდვის უფლებას, მითითებული თარიღის მეორე დღიდან (27 მაისი) უფლება მაქვს აღნიშნული წილი გავასხვისო (გავყიდო) არაპარტნიორებზე.

ხათუნა გაბიცინაშვილი

დირექტორი
შპს „ქართულ-ევროპული სასწავლო უნივერსიტეტი“

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.05.15 15:12:24 +04'00'